ნაციონალისტი

ხუთშაბათი ოქტომბრის 7 1920 წ. ნაციონალური და აგრარული პოლიტიკის ორგანო № 7 ფასი 10 მან.

მისამართი:

[illegible]ციის და კონტორის: დამფუძნებელი კრების (სახელის ქ.) № 5. ტელეფონი 19-66.
[illegible]ტორის: წყნეთის ქ. № 17. ტელეფონი № 22.

ხელის მოწერა:

წლის დამლევამდე—750 მან. (ფოსტ. ხარჯით).
ერთი თვით ხელის მოწერა არ მიიღება.

განცხადებანი

მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. ტრიქონი[illegible]
1 გვერდზე—15 მან. 3-4-გვერდზე—10 მან. [illegible]
განცხადება 30 სტრიქონი—300 მან.

ვდგავ ვახტანგის ასული ვაჩნაძე შვილებით, რძლით და სიძეებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს რომ გარდაცვალების წლის თაებუ 7 ოქტომბერს ხოფელ ბაკურციხეში წმ. გიორგის ეკლესიაში გარდამალილ იქმნება წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ

ვლადიმერ დავითის ძე ვაჩნაძის

სულის მოსახსენებლად.

სამხედრო სამინისტროს სტამბის მუშები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ყველა ამხანაგებს, რომ კვირას 3 ოქტემბერს ვერაგულად იქმნა მოკლული ამხანაგი

არჩილ კავალიშვილი

მიცვალებულის გამოსვენება მოხდება თავის ბინიდან (სიონის შესახვევი № 6) ხუთშაბათს 7 ოქტომბერს დილის 11 საათზე სამების ეკლესიაში, წირვა—პანაშვიდის შემდეგ დაკრძალვა პეტრე პავლეს სასაფლაოზე, პანაშვიდი მუდამ დღე 5-7 საათამდე.

გლეხთა საყურადღებოდ

დამფუძნებელი კრების ნაციონალისტთა ფრაქცია

აცხადებს, რომ იგი საგანგებო დაბარებას აღმოუჩენს ხოფლის მცხოვრებთ გლეხებს ყოველგვარ საერთო—საზოგადო—საჭიროებიანი (ადგილ მამულის,ს ურსათის, ეკლესიის, სკოლის, გადასახადების და სხვა საქმეების) ფიზიზე დასაკმაყოფილებლად საგანგებო დაწესებულებათა თვირ.

ყოველგვარი ცნობები, შეკითხვანი და სხვა ასალი მიიღება თბილისში: „ნაციონალისტის“ რედაქციაში დამფუძნ. კრების ქ. №3

პრო ვინციელ დელეგატთა ხურვილისამებრ პარტიის კონფერენცია გადაიდო და შესდგება 23 ოქტომბერს (ძველი სტილით 10 ღვინობისთვეს)

საქართველოს

ნაციონალური პარტიის

პირველი

კონფერენცია

შესდგება თბილისში 23 ოქტომბერს (ღვინობისთვის 10 ძვ. სტ.)

დღიური წესრიგი:

I. მთავარი კომიტეტის და ფრაქციის მოქმედების მოხსენებანი.
II. პროგრამისა და წესდების განხილვა.
III. სამაზრო მოხსენებანი (დელეგატებისა).
IV. საერთო და საპარლამენტო არჩევნების საკითხი.
V. არჩევნები მთავარი კომიტეტისა
VI. მომდინარე საკითხები.

კონფერენციის წევრთა რიცხვად დაწესებულია 100

კონფერენციის წევრებად უნდა იქნან არჩეული ის პირნი, რომელნიც დასახელებულ იქნებიან პარლამენტის საარჩევნო სიაში.

კონფერენციის დელეგატთა ალაგები განაწილებულია მაზრებს შორის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მიღებულ ხმების მიხედვით (ახსნა—ვერი)

მთავ. კომიტ. პრეზიდიუმი

კორესპოდენტებს და თანამშრომელთა

[illegible] (ფოსტა და ქალაქ-დაბების) ცხოვრების შესახებ, ეგზავნებათ უფასოდ გაზეთი.

კორესპოდენციები უნდა იყოს მოკლე და იწერებოდეს ნამდვილი ცნობების, ფაქტების შესახებ.

ერეგათა და პარლამენტის არჩევნები

1 ნოემბერს გადის ვადა ერობის რწმუნებულობისა.

ჯერ არა სჩანს რომ ერობანი, ან მთავრობა ემზადებოდეს ახალი ერობის არჩევნების დროზე მოსახდენად.

ალბად, საერობო არჩევნების ვადა კიდევ ერთხელ გადიდება, ითვლება რომ მომქმედი კანონი საერობო თვითმართველობის შესახებ, გამოცემული ამიერ-კავკასიის კომისარიატის დროს, ძლიერ დაძველდა და ბევრი ნუხლი ამ კანონისა პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს დღევანდელ პირობებს; კანონის შეცვლის გატარებას დამფუძნებელ კრებაში კი დრო უნდა და ესეც არჩევნების გადადებას იწვევს.

მაგრამ საერობო არჩევნების გადადებასთან არის დაკავშირებული ერთი საკითხი, რომელსაც ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ.

შესაძლოა თუ არა, რომ ერობების არჩევნები გადადდეს იმ დროისათვის, როცა პარლამენტის არჩევნები მოხდება?

ჩვენის აზრით ერთად მოხდენა საერობო და საპარლამენტო არჩევნებისაც (ცალკე სიებით, რასაკვირველია) დიდათ სასარგებლო იქნება, ოადგან ეს იქნება ეკონომია, დაზოგვა, როგორც დროსი, ისე ძალებ..სა და ფულის (მარტო ქალალდის ეკონომია რამდენს ნიშნავს!..)

ხალხისათვის, განსაკუთრებით გლეხობისათვის, რომელიც თან და თან უფრო გულცივობას იჩენს არჩევნებისადმი, ერთხელ მოლევა საერობო და საპარლამენტო არჩევნებისა ხომ საუკეთესო საშუალება იქნება დიდი აბსენტეიზმის თავიდან აცილებისა.

დამფუძნებელი კრების მუშაობაც მიწურულშია: მიმდინარე წელში განზრახულია კონსტიტუციისა და ახალი ბიუჯეტის მიღება და ამით დასრულდება ალბად სესიაც.

ამგვარად შეფარდება საერობო არჩევნების ახალი ვადისა პარლამენტის არჩევნების ვადასთან ტეხნიკურადაც შესაძლებელია.

„ცენტროსპეკულიანტის“ შესახებ.

თითქოს ჩვენს გაზეთში მოთავსებულ წერილის გამოძახილად „სახალხო საქმეში“ ვინმე „გულშემატკივარი“ სწერს შემდეგს:

„ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ-ჯერობით ერთად ერთი საზოგადოებრივი ბანკია—ეს არის კოოპერატიული ბანკი. როდესაც ის დაარსდა, იმ დროს სახელმწიფო ბანკი არ არსებობდა. ამიტომ ცხადია, თუ რაიმე საბანკო ოპერაცია ექნებოდა მთავრობას, ის უნდა გატარებულიყო კოოპერატიული ბანკის საშუალებით. ასეთი ოპერაცია იყო მეცხვარეებისაგან მატყლის შესყიდათ მოთვის ავანსად ასი მილიონი მანეთის დარიგება. ამოდენა სანახა უნდა დარიგებოდა მეცხვარეებს ვექსილებით. ბანკის გასინისთანავე ბანკის გამგეობამ ინახულა ბ. ავალიანი და მოაგონა მას, რომ ალნიშნული თანხა გადმოეცა დასარიგებლად კოოპერატიულ ბანკისთვის. მას, როგორც კოოპერატორს და როგორც პირველი თავმჯდომარეს ბანკის აქციონერთა, უნდა სცოდნოდა, რომ ხალხის ფული მშრომელ ხალხს უნდა დაუბრუნდეს, არა სპეკულიანტებისა და კერძო ბანკის საშუალებით, არამედ სახალხო ბანკის საშუალებით, რომელიც ხალხის სასარგებლოდ არის დაარსებული. აღმოჩნდა, რომ 5 მილიონი იმ დროს უკვე გადაცემული იყო ცენტრობანკში, მეცხვარეების დასარიგებლად. ბ. ავალიანმა სიტყვა ამისცა კოოპერატიულ ბანკის გამგეობას, რომ დანარჩენი თანხა სრულიად დარიგდება კოოპერატიულ ბანკის საშუალებითო.

გადიოდა დრო, ფინანსთა სამინისტროსაგან არაფერი ისმოდა. კოოპერატიულ ბანკ-ის მოსდიოდა ცნობები, რომ ფული რიგდება ცენტრო-ბანკის საშუალებით, რომ ცენტრობანკი მუდამ სავსე იყო მეცხვარეებით.

კოოპერატიული ბანკის გამგეობა და ბანკის საბჭოს თავმჯდომარე ბ. გიორგი ლასნიშვილი არა ერთხელ მიმულან ბ. ავალიანთან ამ საკითხის გამო და ბ. ავალიანი მუდამ დაპირებით ისტუმრებდა მათ, „რაც გადაცემულია, მას ხომ ველარ დავაბრუნებ, დანარჩენს კი უეჭველად თქვენ გადმოგცემთო“. მაგრამ დაპირება დაპირებად რჩებოდა და ფულები ათეული მილიონობით ცენტრობანკში იგზავნებოდა. როდესაც ცენტრობანკში უკვე გადაცემული იყო 30 მილიონ მანეთამდე, ბ. ავალიანმა კოოპერატიულ ბანკს გადმოუგზავნა 2 მილიონი მანეთი, და ბოლოს როდესაც ცენტრობანკმა

�-ახლოვებით 80 მილიონი მანეთი იყო გადაცემული კოოპერატიულ ბანკს კიდევ მოუვიდა ხუთი მილიონი.

ამნაირად 100 მილიონი მანეთიდგან, კოოპერატიულ ბანკის საშუალებით დარიგდა მხოლოდ შვიდი მილიონი მანეთი დანარჩენი ითქმის მთლად ცენტრობანკის საშუალებით დაურიგეს მეცხვარეებს.

რომ უფრო ნათელი იყოს მკითხველებისთვის, თუ რა სამსახური გაუწია ბ. აკალიანმა ცენტრობანკსა, საჭირო არის აღვნიშნოთ ბანკისთვის ამ ოპერაციის მნიშვნელობა.

1) ჩვენ ცნობები გვაქვს, რომ ცენტრო ბანკს გადაეცა დაახლოვებით 80 მილიონი მანეთი. აღნიშნული ოპერაციისთვის ბანკს ეძლევა 2 პროც. წლიური. ფული რიგდება. 6 და 9 თვის ვადით, მაშასადამე ცენტრობანკმა მიიღო მთავრობისაგან დაახლოვებით 1 მილიონი მანეთი.

2) 80 მილიონი მანეთი ცენტრობანკის საშუალებით მიიღო რამოდენიმე ათასმა მეცხვარემ. ამ ნაირად ახალ დაარსებულ სავაჭრო ბანკს, ფინანსთა სამინისტრომ საუკეთესო რეკლამა გაუკეთა ხალხში. როგორც ზევით ვსთქვით, როდესაც არ უნდა მისულიყავი ცენტრობანკში, ის მუდამ სავსე იყო მეცხვარეებით, რომლებიც ფულებს ღებულობდნენ.

3) რაც უმთავრესი, მეცხვარეებისათვის დასაბრუნებლად ფინანსთა სამინისტროს მიერ გადაცემული ათეული მილიონები ხანგრძლივად ეწყო ცენტრობანკში და უკანასკნელს საშუალება ჰქონდა მით სარგებლობის... ამ ნაირად ფინანსთა სამინისტრომ ტყუილ-უბრალოდ შესძინა ცენტრობანკს დაახლოვებით ერთი მილიონი მანეთი და მით გაადიდა ბანკის ისეთაც დიდი თანხა მაშინ, როდესაც ეს თანხის მიცემა შეიძლებოდა კოოპერატიული ბანკისთვის, რომლითაც სარგებლებდნენ კოოპერატივები.

ფინანსთა სამინისტრომ საშუალება მისცა ცენტრობანკს ესარგებლა სახელმწიფო ფულით".

საინტერესოა გადადგამს თუ არა ფინანსთა სამინისტრო ეხლა მაინც საათანადო ნაბიჯებს, თუ დამფუძნებელ კრების სესიას დაუცდის?..

პრესა.

სოც. ფედერალისტები და სოც. დემოკრატები

ევროპის სოციალისტური დელეგაციის წევრებმა აქ ყოფნის დროს წამოაყენეს საკითხი სოციალისტურ ჯგუფების, კერძოდ სოც-ფედერალისტთა და სოციალ-დემოკრატიის გაერთიანებისა.

ამ საკითხის შესახებ „სახალხო საქმეში" ბ-ნი ქრისტ. რაჭველიშვილი სწერს სხვათა შორის შემდეგს:

„ჩვენი დასკვნა ასეთია: დღევანდელ პირობებში გაერთიანებაზე ლაპარაკი ნაადრევია. არაა ისეთი მოტივები, რომელიც გვაიძულებდეს დავსთმოთ ის, რაც ჩვენთვის ძვირფასი იყო და ძვირფასია დღესაც. წარსული ჩვენი მოღვაწეობა მართლდება აწმყოთი და ამას ჩვენი ევროპიელი სტუმრებიც ჰხედავენ. ხოლო აწმყო თავდებია ჩვენი მომავლისა. ჩვენი პარტიის ცალკე არსებობა მართლდება იმ როლით, რომელსაც ჩვენ ვასრულებთ.

ვიმეორებთ, შეიძლება მომავალში ძართლაც მოხდეს გაერთიანება. თუ ასე იქნება ნაყოფი საზოგადოებრივ ძალთა ახალი განწყობილებისა, ეს იქნება იდეური პერტურბაცია რომლისამე მხარისა, რაც თვით ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ჰპოებს გამართლებას. დღეს კი გაერთიანებისათვის შესაფერისი ნიადაგი არაა და მასზე შეიძლება მხოლოდ მსჯელობა რასაც დიდი პრაკტიკული შედეგები არა მოჰყვება რაო".

უცხოეთის დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტოსი)

ხასოფლო გამოფენა პარიზში.

პარიზი. ოქტომბ. 1. (რადიო). დაიწყო სასოფლო საშეურნეო იარაღების გამოფენის კვირა. გამოფენილია ასნაირი სასოფლო სამეურნეო იარაღი.

საბერძნეთის ფლოტი.

ათინა. სექტემბ. 28 ინგლისი დიდ დახმარებას უწევს საბერძნეთს სამხედრო ფლოტის შექმნის საკითხში. გამოვიდა ინგლისელთა საგანგებო კომისია სალამინში საზღვაო სამხედრო ბაზის მოსაწყობად. განზრახული მუშაობა 5 წელზე ადრე არ დასრულდება.

გერმანიის ჯარი.

ბერლინი. სექტემბ. 27. გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა, რომ სექტემბრის პირველს გერმანიის ჯარის რიცხვი 184.000 კაცს არ აღემატებოდა.

სპეკულიაცია უნგრეთში.

ბუდაპეშტი. სექტ. 23. (რადიო) პარლამენტში შეიტანეს კანონპროექტი სპეკულიაციისათვის ფიზიკურად დასჯის შესახებ. პალატის უმრავლესობამ კანონპროექტში შეიტანა შესწორება, რომლის ძალითაც ფიზიკურად უნდა დაისაჯონ მხოლოდ პროფესიონალური სპეკულიანტები.

ბალშევიკების წინააღმდეგ.

მოსკოვი. სექტ. 25. „იზვესტია" აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობის დიპლომატიური გამოსვლა საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგოთაა მიმართული ამას ბალტიის ზღვაში და დანციგის ნავთსადგურში, მოკავშირეთა სამხედრო გემების მისვლაც ადასტურებს. საფრანგეთის სამხედრო უწყებაც ემზადება რუსეთთან ხანგრძლივ ომისათვის, ფრანგი ოფიცრები რუსეთის ფრონტზე საზამთრო კამპანიისათვის ემზადებიან.

მილიერანი აფრიკაში.

შესაძლებელია მილიერანმა პირველად ალჟირსა და მაროკოში იმგზავროს.

ფრანგული ცნობები

ბირჟაზე

მარსელი—ბრინჯი 210, მოხუდო —155, ქართოფილის ფქვილი—150 —140.

პარიზი ოქტომ. ბამბა—492—485, ნოემბრის —465—470, დეკემბრის—459—446.

ლიონი. სვენის აბრეშუმი—275—260, იტალიის—270—275, სირიის—250—260, იაპონიის 260—270, ჩინეთის 270—300, კანტონის 200—215.

გერმანია და საფრანგეთი

„ტანი" იუწყება ეიერ დეგიგთან გერმანიის წარმომადგენელის მეიერის დარბაზობის დროს. გერმანიის ელჩმა დაქინებით გაუმეორა რამოდენიმეჯერ რესპუბლიკის პრეზიდენტს და საგარეო საქმეთა მინისტრს. რომ გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა ყოველგვარად ეცადოს სისრულეში მოიყვანოს ვერსალის ხელშეკრულება.

ჰინდენბურგის იუბილე

ჰინდენბურგის 73 წლის თავზე ჰამბურგში, ბერლინში და სხვ. იყო წარმოთქმული ირონიით სავსე სიტყვები, რომლებიც ალვიებდნენ სიძულვილს საფრანგეთისადმი და მოუწოდებდნენ მთავრობას არ მოეყვანა სისრულეში ვერსალის ხელშეკრულება.

ირლანდიელის შიმშილობა

ფრანგულ გაზეთის „ჟურნალ დე დებას" თანამშრომელს უსაუბრნია ირლანდიის ნაციონალისტის ქალაქ კორკის ლორდმერის მაქს სვენეის მეუღლესთან, რომელსაც თავის ქმრის შესახებ შემდეგი ცნობები გადაუცია:

იგი 40 წლისაა, მთელი თავისი სიცოცხლე მან ირლანდიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შესწირა. 6 წელიწადი მან ინგლისისა და ირლანდიის სხვა და სხვა ციხეში გაატარა, რაიც იყო შედეგი მისი დაუღალავი შრომის სამსახურისა დამოუკიდებლობისათვის და ინგლისელ ნაფიცთა მკაცრ განაჩენებისა. სვენეი „ირლანდიის რესპუბლიკანურ არმიის" ოფიცრად ითვლება. ამ არმიის ერთი მთავარი ორგანიზატორთაგანი თვით სვენეი არის.

მაქს სვენეი ერთი თვალსაჩინო პუბლიცისტი. მის კალამს მრავალი წერილი ეკუთვნის, რომელშიაც ეხება ირლანდიის საკითხს და რომელსაც სააგიტაციო ხასიათი აქვს.

დაწერილი აქვს მრავალი პიესა აგრეთვე სააგიტაციო ხასიათისა. ამ პიესების დადგმა აკრძალულია როგორც ინგლისისა, ისე ირლანდიის სცენაზე.

მისი ხასიათის უმთავრესი თვისება არის მტკიცე ნება იმ მიზნის მიღწევაში, რომელიც მის სიცოცხლის შეადგენს. ეს მიზანია, თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობა.

ფრანგულ გაზეთის თანამშრომელს სვენეის მეუღლესთან საუბარი ჰქონია მაქს სვენეის სიმშილობის მე 27 დღეს.

ამ დღეს ქ-ნმა სვენეიმ ციხეში

უკანასკნელი ცნობები

სომხების ცნობით, ოსმალებმა დაიწყეს შეტევა სოფ. ხარამ-ვარტანზე, ყარსის შემოსავლელად, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ ბრძოლა სწარმოებს აგრეთვე ბარდუსის რაიონში, დარალაგეზის კართან და ქარავანსარაის მიმართულებით.

თბილისში, სომხეთის მისია ჰკრეფს მოხალისეებს.

რიგაში, რუსეთ-უკრაინისა და პოლონეთის დელეგაციები შეთანხმდენ რომ დროებით ზავს პარასკევამდის ხელს მოაწერენ.

იურიევში, რუსეთსა და ფინლანდიის შორის საზავო შეთანხმება მოხდა.

ბახმო ბალშევიკების მხარეზე გადავიდა ვრანგელთან საბრძოლველად.

ქმარი ინახულა. სვენეი სისუსტისაგან უმოძრაოდ იწვა. ლაპარაკი აღარ შეეძლო და დაქინებული სიკერპით უარს ამბობდა საჭმელზე სიმშილობის მე-17 დღეს ციხის უფროსმა სვენეის წინადადება მისცა საჭმელი მიეღო და სამაგიეროდ დაჰპირდა, თქვენს ძმას გავანთავისუფლებთო. სვენეიმ უარი უპასუხა. სვენეიმ უარი სთქვა აგრეთვე მეორე წინადადებაზეც: მას საჭმელი უნდა მიეღო მხოლოდ იმიტომ რომ პრესაში გამოქვეყნებულიყო; „სვენეიმ იარაღი დაჰყარა", რომლის შემდეგაც იგი გაანთავისუფლებენა სვენეიმ „იარაღი არ დაჰყარა",

საფრანგეთი შავ ზღვაზე

საფრანგეთის საგარეო სამინისტროს ოფიციოზი „ტანი" თითქოს საფრანგეთის ფლოტის კონსტანტინოპოლიდან შავ ზღვაზე გამგზავრების გამო ადესის ასაღებად, 9 ენკენისთვის თარიღით ბეჭდავს წერილს „საფრანგეთის პოლიტიკა და რუსეთი".

„ტანი" ჯერ ეხება მილიერანის მოთხოვნილებას, (25 აგვისტოს) რომლითაც 1-ლ ღვინობისთვის არც ერთი ფრანგი არ უნდა დარჩენილიყო შეპყრობილად საბჭოთა რუსეთში, თანახმად ა. წ. 20 აპრილს კოპენჰაგენში ფრანგ ელჩის დაუშვნის და საბჭოთა რწმუნებულის ლიტვინოვის შორის დადებულ ხელშეკრულობისა.

საფრანგეთმა თავს იტვა მოვალეობა, რომ საბჭოთა რუსეთში დაეჭრუნებინა 22 ათასი რუსი იმ 900 ფრანგის სანაცვლოდ რომელნიც დაჭერილი ჰყავთ ბალშევიკებს. საფრანგეთი უკანასკნელ ტრანსპორტს კიდეც გზავნის რუსებისას მაშინ როცა მოსკოვმა მხოლოდ 110 ფრანგი გამოუშვა, ხოლო ახალი პარტია, რომლის გამგზავრებაზედაც მოსკოვიდან საბჭოთა მთავრობა იუწყება, შესდგება სულ 250 კაცისგან.

ჩვენს თანამემამულეთა შორის, სწერს „ტანი" რომელნიც დარჩნენ იქ მოკლებულნი კრებას და წესიერ ცხოვრებას, არიან აფიცრები, სამოქალაქო სამსახურის პირები, რომელნიც იმყოფებიან, სიკვდილის მუქარის ქვეშ, როგორც უბედური დარსი. გასაგებია, რომ ვერ დავასახლებთ მათს სახელებთ, მაგრამ ოჯახები საკმაოდ იტანჯებიან საფრან-

ბეთში მიგრამ არ არი საჭიროება დავასახელოთ სახელები სათქმელად იმისა, რომ რაც იქ ხდება არის სკანდალი, და რომ ფრანგები ვერ დასტოვებენ თავის შვილებს მომავალ ზამთრის ბრეკალებში და თუ ფრანგები შეიპყრეს ძალით საბჭოთა რუსეთში 1-ლ ოკტომბრამდე, მაშინ საფრანგეთი მიჰმართავს არა პლატონიურ პროტესტებს, არამედ შავი ზღვის ხაბირებზე ზარბაზნებიდან სროლას".

ქრონიკა.

კერერის გამტაცებელთა დახვრეტა

როგორც ვწერდით, ამას წინად შეიპყრეს 8 კაცი, რომელთაც ბრალდებოდათ თბ. მოქალაქეს კერერის გატაცება გამოსაღყიდ ფული (სამი მილიონის) მიღების განზრახვით.

ოქტომბრის 4-ს ბრალდებულნი გასამართლა სამხედრო-საველე სასამართლომ, ლამნაშავედ იცნო და შემდეგი სასჯელი მიუსაჯა:

1) ვლადიმერ მალაქიას ძე ლოლაძეს, (2) ივანე არქიპოს ძე დურმიშიძეს, 3) დოვლათი პლატონისძე იაშვილს, 4) ვიქტორ პლატონისძე ვარდოსანიძეს და 5) გრიგოლ კაპიტონისძე ორმოცაძეს დახვრეტა, ხოლო 6) დავით იაკობისძე ვარსენანიშვილს, 7) გიორგი იაკობისძე მარტოლეკიშვილს და 8) იოსებ აბრამისძე ჯანაშვილს—რეა-რვა წლის კატორღა.

პური ბორჯომისთვის

ბორჯომის ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე მიაწოდონ ბორჯომს პური, ან და მას ნება დართონ და თვით ქალაქმა გამოიტანოს თვისივე საშუალებით პური-მოსავლიან ადგილიდან. მომარაგების სამინისტრომ ქალაქ ბორჯომის თვითმართველობის შუამდგომლობა დაკმაყოფილა. გორში მყოფ სამინისტროს წარმომადგენელს ეცნობა, რომ ბორჯომს უფლება აქვს გაიტანოს გორის რაიონიდან ქისთვის საჭირო პური.

სიღნაღი

დიდმა წვიმებმა დააზიანა ქუჩები. უფრო დაზარალდა ქალაქის ცენტრალური ადგილი. ისეთი ძლიერი წვიმა იყო, რომ დამოკიდებულება სიღნაღსა და ახლო მდებარე სოფლებს შორის შესწყდა. ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქთა კავშირის წინაშე აღმოუჩინოს მას დახმარება ქუჩების შეკეთებაში.

ბორჯომის სანატორიუმი

ბორჯომში არსებულ სახელმწიფოს პირველ სანატორიუმში ავადმყოფთა მიღება შეწყდა. საავადმყოფო ოქტომბრის 15 დაიხურება. შეკითხვებზე ადმინისტრაცია პასუხს არ გასცემს არავის. სანატორიუმის დირექტორი ზანდუკელი.

გორის აღდგენა

ქალაქის თვითმართველობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს სთხოვა ნება დაგვრთეთ ვისარგებლოთ დანგრეულ ყაზარმების მასალით ქალაქის თვითმართველობის შენობის ასაგებათო.

მაზრების გადამიჯვნა

ველის ციხის თემმა შუამდგომლობა აღძრა სიღნაღის ერობის ზოგიერთი სოფლის თელავისა და თბილისის სამაზრო ერობის ფარგლებში შეტანის შესახებ. სიღნაღის ერობამ ამ საქმის გამო მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, დამ. კრებას და ერობათა კავშირის კომიტეტს და თუწყა ძალ., რომ ასეთი გამიჯვნა სიღნაღის ერობის ინტერესებს ეწინააღმდეგებაო.

ავსტრიის ქვეშევრდომნი

თბილისში მყოფი ავსტრიის სამხედრო ტყვეთა დამხმარე დეპარტამენტის დელეგატი ებრძანებს აქ მყოფ ავსტრიის ქვეშევრდომ სამხედრო ტყვეებსა და მოქალაქეთ, რომელთაც სურთ საშობლოში დაბრუნება, "გამოცხადნენ ან თბილისში სერგეევის ქ № 16, ან და ბათომში მის მოადგილე ე. ი. ტრანცთან. პირადად ან და საჩქაროდ აცნობოთ წერილობით თავიანთი მისამართი.

ცხადდება ავსტრიის დანარჩენ ქვეშევრდომთა საყურადღებოდ, რომ ამის შემდგომ მათი ინტერესების დაცვა პასპორტებისა და საჭირო საბუთების გაცემა დავალებული აქვს თბილისში მყოფ გერმანიის დიპლომატიურ წარმომადგენელს თბილისში.

ბალშევიკები და საქართველო

ბაქოში სახლების კედლებზე, შავ ფონზე წითელი საღებავით დაწერილია რუსულ ენებზე შემდეგი, საქართველოს ადრესზე:

—„საქართველო არ მომკვდარა მას სძინავს და გაიღვიძებს მშვენიერ საბჭოთა საქართველოს შესაქმნელად."

კ. კანდელაკი და ფ. გოგიჩაიშვილი.

ამ დღეებში საზღვარ გარეთიდან ფინანსთა მინისტრს კ. კანდელაკსა და ფილიპ, გოგიჩაიშვილს მოელიან.

სოციალისტური დელეგაცია

დებრიუკერი ოქტომბრის 2 ნაშუადღევის 2 საათზე ეწვია საგანგებო სამრეწველო პალატას საქართველოს ფინანსიურ ეკონომიურ მდგომარეობის გასაცნობად. დებრიუკერმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმპორტსა და ექსპორტს და ადგილობრივ მრეწველობის მეგობარეობას. დე-ბრუკერს აინტერესებდა აგრეთვე სასოფლო სამეურნეო მრეწველობის მდგომარეობაც. დებრიუკერი ეეეხო საქართველოსა და ბელგიის შორის პირდაპირი საგაჭრო დამოკიდებულების შესაძლებლობის საკითხს. დებრიუკერის თხოვნით პალატა ამზადებს საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ მასალას.

ღვინის კანონის გაფართოება

ფინანსთა სამინისტროსთან დაარსდა საგანგებო კომისია, რომელსაც მიანდეს განიხილოს საკითხი ღვინის კანონის რესპუბლიკის ყველა ქალაქზე გავრცელების შესახებ კომისიის შემადგენლობაში შედიან: მეღვინეთა, ვაჭრობა-მრეწველობის პალატის, ეროვნათა და ქალაქთა კავშირის საალკოზო სამმართველოს და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები.

გ. ჟორდანიას სამსახურიდან გახვლა.

იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ჟორდანია სამსახურიდან გავიდა.

ციხეების რევიზია

საპყროპილეთა ინსპექციის განკარგულებით დაინიშნა განსაკუთრებული სარევიზიო კომისია ციხეების სამეურნეო მდგომარეობის გამოსარკვევად.

ფოსტა ქარელში

სოფ. ქარელში გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

ზომისა და წონის შეცვლა

(მეტრიული სისტემა)

ზომისა და წონის პალატამ ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს საქართველოში ზომის მეტრიულ სისტემის შემოღების შესახებ პროექტი წარუდგინა. პროექტში აღნიშნულია, რომ საქართველო დაუკავშირდა ევროპას, ამიტომ ვაჭრობა-მრეწველობის მხრივ საჭიროა საერთო ენის შემოღება, რომელსაც შეუძლია სხვა და სხვა ქვეყნებთან დამოკიდებულების შემსუბუქება. ამისათვის საჭირო საგნების დამზადება შეიძლება აქვე საქართველოში მხოლოდ ზოგიერთების გამოკლებით ამ სისტემის ცხოვრებაში გასატარებლად

ქართული წიგნი.

სიყვარული წიგნისადმი, როგორც სასტამბო ხელოვნების ნაწარმოებისადმი, საქართველოში არ არსებობს. ქართული წიგნი ისევე ღარიბია, როგორც ქართული მწერლობა. ქართულ წიგნს დღემდის არა აქვს ინდივიდუალი გარეგნობა, სილამაზე შრიფტის, ქაღალდის ლაზათი, შნო ყდის და სხვა. ერთი სიტყვით იგი არა თუ არ ესაბამება მხატვრულსა და ბიბლიოფილურ გემოვნებას, არამედ მოკლებულია ეგზარალო დამაკმაყოფილებელ სახესაც...

წიგნიი მრეწველობას საქართველოში ჯერ ფეხი არ აუდგამს. ერთი სიტყვით ჩვენში არ არის ის, რასაც გერმანელები „Buchkunst"-ს უწოდებენ.

გარდა ფრანგებისა და ინგლისელებისა, ამ 15 წლის განმავლობაში დიდი ყურადღება მიაქციეს გერმანელებსა და მერე რუსებმაც. გაიხსენეთ პირველების ისეთი კულტურული გამომცემლობანი, რანაირნიც იყვნენ: „ინზელ-ვერლამ" და „იულიუს

პალატას საჭიროდ მიაჩნია: 1) მიაწოდონ საზღვრის და სასწორის მეპატრონეებს მეტრიულ სახის გირები, 2) გამოიცეს საგანგებო გარდამავალი კანონები რათა რეფორმა უმტკივნეულოდ გატარდეს 3) მოხდეს ხალხში აგიტაცია ახალ სისტემის შემოღების სასარგებლოდ, პალატა ახალ სისტემის შემოღებას 1921 წლის იანვრიდან სოფლის საესურველად. 1923 წლამდე ახალი რეფორმა საბოლოოდ უნდა იქნას გატარებული ცხოვრებაში. ამიტომ უნდა გამოიცეს საგანგებო დროებითი წესები, რომლითაც დადგენილი იქნება, რომ 1923 წლიდან რუსული ზომა ხმარებაში აღარ იქნება.

პოეტი ცახელი

(სიტყვა წლის თაგზე)

დღეს შესრულდა წელიწადი, რაც საქართველოს მგოსანთა შშვენიერ თაიგულს გამოვარდა, გამოაკლდა ერთი საუკეთესო ყვავილი, ვერაგულად მოკლული პოეტი პარმენ ივანეს ძე თვალჭრელიძე, „ცახელის“ ფსევდონიმით ცნობილი. სიკვდილი, თუნდაც ბუნებრივი და ნორმალურ პირობებში. მაინც დიდი საშინელი და შეურიგებელი მოვლენაა ადამიანისათვის, მაგრამ უფრო მეტ საშინელებას წარმოადგენს და მეტ აღშფოთებას იწვევს, როდესაც სიცოცხლე ეს ქვეყნიური დაუფასებელი კეთილი იკვეთება, ისპობა ძალადატანებით და ვერაგის ხელით. სამუდამოდ და უდანაშაულოდ წაართვეს სიცოცხლე მას, ვინც მთელ თავის სიცოცხლეში საშშობლოს ზეაღმაფრენ იდეალებს ემსახურებოდა, ვინც მეტად მშვენიერ, მომხიბლავ ლექსებით, ვით კეთილ სუნნელოვანი ყვავილებით, ატკბობდა მამულიშვილებს, ვინც მუდამ „ეროვლად გრძნობდა თავის საყვარელ ერის მწუხარება-მნიშვნელობას, ბედნიერებაუბედურებას.

ი ასეთ ლირსეულ ადამიანს ბოროტმა ხელმა ვანუგეშირა საშშობლოს გატაცებით მოსიყვარულე გული. ჩვენს დუხჭირ ცხოვრებაში ეს პირველი შემთხვევაა? განა ასეთი ბედი არ ჰხვდა ჩვენს მარად სათაყვანო ილიას ნუ თუ ეს არის დაფახება-ჯილდო საშშობლოსთვის თავდადებულ მამულიშვილისა? ნუ თუ ეს არის სამაგიერდ მადლობა იმ დიად სასიამოვნო განცდათა, რომელიც განსვენებულმა ცახელმა საშშობლოს ლრმად მოსიყვარულე გულიდან ალმომსქდარ ლექსებით გვაგრძნობინა? ოჰ! ჩვენო სირცხვილო, ჩვენო დაკნინებაა და უბედურებავ! გვაპატიე, შეგვინდეო, საყვარელო პოეტო ისე, როგორც იდეალმა, ჩვენმა საყვარელმა ეროვნულმა მოძღვარმა დიდმა ილიამ გვაპატიეა და შეგვინდო. დეე იყოს ეს მეტად საშწუხარო შემთხვევა სამარადისოდ განუმყარებელი ჩვენი ერის ცხოვრებაში, ხოლო შენებრ ზეციო ბირონ ცხებული მამულიშვილები ღვთიურმა განგებამ კვლავ ბევრი მოუვლინოს ჩვენს ქვეყანას მისდა სანუგეშოდ და სამადნიეროდ.

მიტროპოლიტი ნაზარი.

კორესპონდენცია თელავიდან.

(სოციალისტთა დელეგაციის მოსვლა)

—„მოდიანო“. ბოლოს ეუწყათ თელავის მახლობელ სოფლებს: მემზადენით, დარეცხეთ, დასუფთავდით, ტანისამოსი გამოიცვალეთ, წითელი „ლენტები“ გაიკეთეთ, ხვალ მოდის ევროპის მუშათა დელეგაცია; სამუშაოდ არავინ წახვიდეთო, შეიკრიბენით დანიშნულს ალაგას, ააფრიალეთ დროშები და თქვენის წინამძღოლების თავში მდგომითო“.

22-ს ენკენ. თელავის და მის გარეშე სოფლის ხალხი სიამხიარულით შეეგება ძვირფას სტუმრებს და ვაშას ძახილით და მუსიკით მიაცილა მუშაობა კლუბის შენობამდის, სოფლის წინ იყო ყვავილებით მორთული ტრიბუნა. სტუმრებმა საჩქაროდ დაიკავეს თავ-თავის ადგილი და ჩვენ ლირსნი გავხდით მოგვესმინა მათი არვიცი, რას გვეტყოდნენ, რას ჩაგვაგონებდნენ? გვესმოდა ჭექა ქუხილი და ცეცხლი ნიავქარისა, გვესმოდა მხოლოდ სიტყვები: სოციალიზმი, კოპერაციონიზმი, ინტერნაციონალი და სხვა ამ გვარი ტერმინები; მთარგმნელნი ფრიად კოჭლობდნენ, თუმც კი თავზედ მალამოს გვისვამდნენ და გვანუგეშებდნენ ჩვენის ქვეყნით და ჩვენის ცხოვრებით მოხიბლულნი არიან და ამბობენო: ჩვენ ჩვენ გვინდოდა ამ ქვეყნის მცხოვრებთათვის გაგვეგებინა ცხოვრების მიზანი და ჩვენ კი ვხედავთ, თქვენ ბევრად წინ გაგისწვრიათ ევროპისთვის სოციალიზმის რეალიზაციაშიო; „თქვენ უკვე უტყეარ და სწორის გზით მიდიხართ და შორს აღარ არის ის დრო, როდესაც თქვენ შეხვალთ აღთქმულს სოციალიზმის სამოთხეშიო“. დასასრულს სტუმრებმა დიდად მადლობა უძღვნეს „ამხანაგთ“, რომელთაც ლამე გაათენებეს წინანდლის საუფლის წულო მამულში, სწორედ იმ დარბაზში, სადაც ოდესღაც განისვენებდა დიდი მტარვალი რუსეთისა თაიისის სახლობით და „სადაც იგვმეს საუკეთესო ხილი ბალისა, ნებისად სვეს ძველის-ძველი სასმელი და თბილად დაიძინეს“ ჩამოვიდენ ტრიბუნიდამ, უსურვეს ყველას ძმობა, ერთობა, გამარჯობა, გამოეთხოვნენ თელავის მოქალაქეთ და გაუდგნენ გზას. ყველა მხიარულობდა, ტაშს უკრავდა და ვაშას გაიძახოდა; ჭოტი კი შემომჯდარიყო ქანდარაზედ და გაიძახოდა. „პეტრე ქალაქს მოდიოდა, რა მიექანდა, რა მოაჰქონდაო?“

დამსწრე.

ქობულეთის ამბები

ქობულეთიდან მთავრობის თავმჯდომარის და დეპუტატი ა. ჩხენკელის სახელზე მოსულია შემდეგი დეპეშა:

27 ენკენისთვეს ქობულეთის რაიონის სოფელ კოხში მოხდა მკვლელობა ორი მილიციონერისა. ეს ბოროტება მოხდარა შემდეგი მიზეზით: ყოველად უწყინარ მუშაკს სერდალ გულტაიშვილს საღამოს სახლში მიჰქონდა ცხენზედ ამოდებული ფიცრები. გზაში შეხვედრია ორი მილიციონერი, დაუნახავთ მისთვის წელში გარჭობილი უბრალო რევოლვერი წაურთმევიათ. გულტაიშვილი შეეკედრებია რევოლვერის დაბრუნებას, მილიციონერებს მეტის მეტი უფემიათ მისთვის. ეს საშინელი დამცირება გულტაიშვილს ვერ აუტანია, მისულა სახლში, აუღია თოფი და მილიციონერების პოსტისთვის დაუშენია. მოუკლავს ორი მილიციონერი, ამის შემდეგ კოხში მივიდა დამსჯელი რაზმი, რომელიც ართმევს ბალხს ჯარისათვის საქმელს, სცემენ ხალხს ართმევენ სიმინდს ცხენებისათვის, სჭრიან ახალ სიმინდს, მოკლულების ოჯახებისათვის მოითხოვენ ერთ მილიონ მანეთის გახდას და ამ ფულში მიყავთ ძროხები, ხარები, თხები, მიექვეთ სპილენძეულობა, ნოხები და სხ. წაყვანილი საქონელი სიმშილით იხოცება, თხუთმეტ ათასად ღირებული საქონელი ხუთი ათასად მიექვეთ. მთელი ქობულეთის რაიონის მუსულმან ქართველების სახელით ულმორჩილესად გთხოვთ შეარველობას, ხალხი მზათაა გადაიხადოს ჯარიმა, მაგრამ აღას ვერ შესძლებს სამი დღის განმავლობაში გთხოვთ ორი კვირის ვადას, გთხოვთ უბრძანოთ რაზმს ხალხს ნუ აწიოკებს, გთხოვთ დაუბრუნდეს ხალხს წაყვანილი საქონელი და ავეჯეულობა, რომ 2 კვირის განმავლობაში გაწერილ ჯარიმას კი გადაიხდიან. თვალცრემლიანი გვეკედრებით თხოვნის შესრულებას, მამობის გაწევას, ფიცსა ვდებთ, რომ დანაშაულებს ჩვენც ვდევნით და მათ მოქმედებ ჯავშოთებს. იმედი გვაქვს ჩვენი თხოვნა არ დარჩება ჩვენი საერთო საშშობლოს მეთაურს მიერ უყურადღებოთ. დურსუნ მოწყობილი, ხუსეინ გოგიბერიძე, კესკინ ინაშვილი, მამედ შავიშვილი, უსუფ ჩინჩარაძე, ხასან გულტაიშვილი, დარსუნ ეკგენიძე, მურად ჩკველი, ხუსეინ შავიშვილი, კედეშ ჩკონია, ხუსეინ გოგიტიძე, ხურბუთ ჭყონია, მემედ ავა-ჭყონია. (ე.)

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი: გრ. ვეშაპელი
სამხ. სამ. სტამბა, ლორის-მელი ქ., 3

პოეტი ცახელი

(სიტყვა წლის თაგზე)

დღეს შესრულდა წელიწადი, რაც საქართველოს მგოსანთა შშვენიერ თაიგულს გამოვარდა, გამოაკლდა ერთი საუკეთესო ყვავილი, ვერაგულად მოკლული პოეტი პარმენ ივანეს ძე თვალჭრელიძე, „ცახელის“ ფსევდონიმით ცნობილი. სიკვდილი, თუნდაც ბუნებრივი და ნორმალურ პირობებში. მაინც დიდი საშინელი და შეურიგებელი მოვლენაა ადამიანისათვის, მაგრამ უფრო მეტ საშინელებას წარმოადგენს და მეტ აღშფოთებას იწვევს, როდესაც სიცოცხლე ეს ქვეყნიური დაუფასებელი კეთილი იკვეთება, ისპობა ძალადატანებით და ვერაგის ხელით. სამუდამოდ და უდანაშაულოდ წაართვეს სიცოცხლე მას, ვინც მთელ თავის სიცოცხლეში საშშობლოს ზეაღმაფრენ იდეალებს ემსახურებოდა, ვინც მეტად მშვენიერ, მომხიბლავ ლექსებით, ვით კეთილ სუნნელოვანი ყვავილებით, ატკბობდა მამულიშვილებს, ვინც მუდამ „ეროვლად გრძნობდა თავის საყვარელ ერის მწუ-

---

არავინ არაფერს ჰზოგავდა.

დღეს კი ჩვენ ნაკლებად ვზრუნავთ წიგნზე.

არ ზრუნავს უპირველესად არც წერა-კითხვის საზოგადოება, რომლის გამოცემანი ისე მოსაწყენი და ნაცრისფერია როგორც „სალდათური სუნი“. უგემოვნობაში და უკულტურობაში მას, არ ჩამორჩებიან სხვ. „განათლება“, „ბეჭედი“ ამხ. „ალ. არაბიძის გამომცემლობა, „კოოპერატივთა კავშირი“ თუმც უკანასკნელს რამოდენიმედ უფრო ახასიათებს სიყვარული ქართული წიგნისადმი.

საქართველოში სულ ორი წიგნი დაიბეჭდა გემოვნებით: გიორგი ქართველიშვილის „ვეფხის ტყაოსანი“ და მიხ. გედევანიშვილის შიერ გამოცემული „ილია ჭავჭავაძის სრული თხზულებანი“.

მაგრამ ორივე გამოცემა იყო არა დემოკრატიული, აგრეთვე ორივე იყვნენ დაშმეტებული მძიმე ნაკლით.

დღეს ქართული გამომცემლობის საქმე დღითი დღე ვითარდება.

განსაკუთრებით ქუთაისში, რომელიც ამ საქმეში ლაბიკიგის როლს ასრულებს საქართველოში.

ალსანიშნავია გამოცემანი „ცისფერი ყანწების“ „შვილდოსანის“ და „კირჩხიბის“ რომელნიც პირველ სასიხარულო მაგალითებად უნდა ჩაითვალოს ქართულ გამომცემლობაში.

მათ წიგნს მისცეს კულტურა და ევროპიული სახე.

თბილისის ვიტრინებიც აჭრელდა ქართული წიგნებით მაგრამ მათ, რუხი ფერი შემოაქვთ.

შრიფტის ულაზათობა, უქაღალდობა, ყდის ბანალობა, შაბლონური და დაყალბებული, გაცვეთილი ნაწიბურები, კიდურები ახრჩობს ქართულ წიგნს. ამას ალბად ვერ ჰგრძნობენ ვერც თითონ მწერლები ვერც გამომცემლები, რომელნიც არადროს ზრუნავენ წიგნზე და სტამბაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

ალსანიშნავია, რომ წიგნის ესთეტიკურ კრიზისს, არც ქართველი მხატვრები ჰგრძნობენ.

ამიტომ საჭიროა და სავალდებულოც, რომ ამიერიდან თითეულმა ქართველმა ავტორმა და გამომცემლობამაც უფრო მეტი იზრუნოს წიგნზე, როგორც მის ესთეტიურ სახეზე, ისე მის დემოკრატიზაციაზე და ამით ხელი შეუწყოს ქართული წიგნის განახლებას და აღორძინებას.

გ. ლეონიძე

მატარებლების მიმოსვლა

თბილისიდან მიდის		
ბორჯომისდან	№ 17	7. 52
ბორჯომში ჩადის		2. 09
ფოთისდან	№ 3	3. 56
ფოთში ჩადის		10. 20
ბორჯომისდან	№ 10	2. 30
ბორჯომში ჩადის		8. 00
ბათუმისდან	№ 17	8. 00
ბათუმში ჩადის		9. 00
ბათუმისდან წყარო	№ 5	11. 44
ბათუმში ჩადის		11. 27
ოჯურისდან		8. 30
ქუთაისდან	№ 7	9. 50
ქუთაისში ჩადის		6. 00
ხაშურისდან		1. 40
[illegible]		10. 10

თბილისში მოდის		
ბორჯომიდან	№ 20	12. 30
თბილისში მოდის		6. 30
ქუთაისიდან	№ 12	11. 47
თბილისში მოდის		9. 30
ბათუმიდან წყარო	№ 6	11. 00
თბილისში მოდის		12. 10
ბათუმიდან	№ 8	3. 55
თბილისში მოდის		7. 44
ფოთიდან	№ 4	8. 27
თბილისში მოდის		7. 45
ოჯურიდან		7. 00
ხაშურიდან		11. 30
[illegible]		4. 22